



— წვერი რომ მოგიშვია, მო-
ვიკვლა ვინმე?!
— არა, მე წვეროვნულ
მოდრობაში ჩავები!

ნან. მ. აბაშიძისა

თედო აივანჯე ზის და ცელს ლესავს. მისი სახლისკენ ბრიგადირი მოემართება. ორ ხელქვეითთან ერთად.

თედო მათ ვერ ხედავს და ჭერჭერობით უღარდელად დიდინებს.

— ჰაი, თედო, თედო! — ყვირის ბრიგადირი.

თედო აივანიდან იხედება და ფიქრობს, ვალი მომიტანაო!..

— თედო! — ახმახის ბრიგადირი, — შენზე ამბობენ, ფანდურს რომ უკრავს, ფეხი ფეხზე აქვს გადადებულიო! მართალია?!

თედოს სახეზე ფერფური მისდის, არ იცის, როგორ არის ახალი კანონებით — ფანდურზე დაკვრის დროს კაცს ფეხი ფეხზე



უნდა შქონდეს გადადებული თუ არა?!

მაგრამ ბრიგადირმა ხომ იცის?! ალბათ, ამიტომაც ეკითხება! ფრთხილად, თედო!..

— დაყრუვდი, კაცო?! — აწყვირის ბრიგადირი.

— არა, კაცო, არა!.. — დაბნეულად ჩასძახის თედო, — რა ფეხი ფეხზე გადადებული, რი ფეხი ფეხზე გადადებული?!

— რაო, რაო?! — საზეიმო კილო გამოსვების ბრიგადირის ხმაში. — მაშ, ფანდურზე დაკვრის დროს ფეხი ფეხზე არა გაქვს გადადებული?!

„გამამიტირა!“ — უროსავით ურტყამს თავში თედოს და სიმწრის ოფლი ასხამს!..

— არა?! მაშ, არა?! — სულსშემშუთავი ხმით ახმახის ბრიგადირი.

თედოს უცებ სასოწარკვეთა ერევა. მუხლებზე ეცემა და შესაბრალისი ხმით ბლავის:

— შემიბრალებო!.. შემიბრალებო!..

— შებოჭეთ! — ბრძანებს ბრიგადირი.

ხელქვეითები თედოს აქეთ-იქიდან შეუღებებიან და დასაკითხად მიჰყავთ!..

1937

ბრიგადირის კაბინეტი

— ვის „რაზევტკაზე“ მიუშაობ? — ეკითხება ბრიგადირი.

— იმისა, კაცო, იმისა... — არეულ-დარეულად ბურღულუნებს თედო. — რა შქვიან... — ინგლისისა — ახსენებს ბრიგადირი.

— ჰო, ინგლისისა!

— ვინ ჩაგება კონტრრევოლუციურ საქმიანობაში?!

— რაში?!

— კონტრრევოლუციურ საქმიანობაში — უმარცვლავს ბრიგადირი, — დამიხსოვრე!

— იმანა, კაცო, იმანა!..

— ისტორიის მასწავლებელმა! — კარნახობს ბრიგადირი.

— ჰო!

— შენ ვინ ჩააბი კონტრრევოლუციურ საქმიანობაში?!

— ისა... — კოლმეურნეობის თავმჯდომარე!

— ჰოოოო!

— რას აპირებდით?!

— იმასა... — გაისხენე!

— ფერმის ქათმები ინგლისში უნდა გადაგვეფრინა!

— წიწილებიანად!

— ჰო!

— გაიყვანეთ!

თედო გაშავთ და აგდებენ ბნელ სარდაფში. სარდაფში მის მეტი არავინაა. მთელი დღის ნაჭაფარს და ნატანჯს მალე ეძინება!..

პაპიროსის კვამლის სუნი აღვიძებს. მის გვერდით კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ისტორიის მასწავლებელი სხედან. თედოს რცხვენია მათთვის სახეში შეხედვის და კვლავ იძინებს!..

დილით, სარდაფის კარი იღება და შემომავთ... დატუსაღებული ბრიგადირი, ორ ხელქვეითთან ერთად.

შუადღისას პატიმრები ეწოში ვაჭავთ. ეწოში უამრავი ხალხია. ტრიბუნასთან ვილაც კორფლიანი კომისარი დგას და შქახე ხმით მანვერირებს!.. თავის სიტყვას ასე ასრულებს:

— მხოლოდ ერთ რამესა ვთხოვთ ხალხნო, გემუდარებით, ხალხნო. გვედრებით — გვენდეთ იმაში, რომ ამ დივერსანტებს (ხელს იშვერს დაპატიმრებულებსაკენ) სამაგალითოდ დავსჯით!

კომისარი მანქანაში ჯდება და მიემგზავრება. პატიმრებს ურემზე სვამენ და, რადგან რაიონის ციხეში აღდგოი აღარ არის, თბილისისაკენ მიჰყავთ!..

თბილისის ციხეში ექვივის ერთ საკანში ათავსებენ. საკანში, მათ გარდა, კიდევ ერთი კაცი ზის. ეტყობა, „ვეტერანია“.

— რისთვის ზინარ? — ეკითხება თედო.

— ჩემს მეზობლად ერთი დამწუხები პოეტი ცხოვრობს, — პასუხობს ის, — ერთხელ სახლში შემოვიპატიფე. სუფრაზე გათლილი ბოლოკი რომ დანახა, ეწყინა. მითხრა, თეთრი გულის ჰამას, წითელი ქერქისა გარჩევოდესო და გვიღა. იმავე ღამეს დაშეცენ და... ახლაც ამას მეკითხებიან — ი თეთრი დროშა რა უყავი?!



— იმ ჩექმების პატრონი სად არის? — უთითებს თედო კედელზე მიუღებულ ჩექმებზე.

— დაკითხვაზეა გაყვანილი.

— რა დააშავა?!

— თურქეთის ქაშუშია! გორში ვაშლის დამწიფების პროცესი შეუწყვეტია! ამ დროს კარი იღება და საკანში შემოპყავთ უმოწყალოდ ნაცემ-ნაბეგე „თურქეთის ქაშუში“. თედო მას სახეზე აკვირდება და უცებ გაოცებისაგან ყვირილი აღმოხდება, — ეს ის ჭორფლიანი კომისარია!

გურამ ინასარიძე



ჩაქურ-ნაზღლის დუელი

ს.ს. ბ. ლომიძისა



შინდა, შეგეკითხო და
უნდა განშიმართო:
რატომ მოჰკაღ მოყვასი?!
რატომ?! რატომ?! რატომ?!

განა ახლა გვეკიდება
ცეცხლზე დასხმა ნავთის?!
დანა რისთვის იშეშვლე —
ს ი გ ა რ ე ტ ი ს ა თ ვ ი ს ?!

შინდა გავერკვიო და,
რა ამაოდ ვლამობ! —
რად დასჭერი ტაქსისტი?! —
თ უ მ ნ ი ა ნ ი ს გ ა მ ო ?!

გეკითხები, კაცური
სინდისისგან დაცლილს:
რისთვის მოჰკაღ ის ქალი —
რ ა ლ ა ც რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ?

რას ერჩოდი ნმ მოხუცს,
რად აწამე უღვთოდ,
ხელის აუთრთოლებლად
რომ გაუხვი უთო?!

როგორ არ, შეგეშინდა
— იმ უმანკო სისხლის —
რატომ მოჰკაღ ის ბიჭი —
შ ა გ ნ ი ტ ო ფ ო ნ ი ს თ ვ ი ს ?!

იმ მზის გამკვირვებნა,
შენთვისაც რომ მზეობს!
კრული იყავ მარადის,
ძ შ ა თ ა მ კ ვ ლ ე ლ ო ძეო!


ნუგზარ აფხაზავა



ნახ. ჯ. ლოლუასი

— ისევ იკეთებს მორფს ეს თქვენი მეზობლის ბიჭი?!
— არა, ახლა პირდაპირ ამბულებს ულაპავს — შერიცხ
ვერ ვენდობი, შიდსის მეშინიაო!

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ყოფნა-არყოფნის სამართველოს უფროსს — გ. სამარიძეს
მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს დამკრძალავი კანტონის
დირექტორს — ვ. ა. ქელეხაშვილის
მოსხენებითი ბარათი

მოგასწავნებთ, რომ 1962 წლიდან მოყოლებული, თითქმის 20 წელია, რაც აღნიშნულ კანტონის ვხელმძღვანელობ, არ ყოფილა შემთხვევა, რომ გეგმა გადაჭარბებით არ შეგვესრულებინოს. არაერთხელ გავიმარჯვეთ შევიბრებაში და გარდამავალი დროსაც დავიმსახურეთ. ჩვენი კანტონი ყოველთვის მაღალ დონეზე აწარმოებს მოსახლეობის მომსახურებას, რისთვისაც ჩვენმა კოლექტივმა მომხმარებლის არაერთი მადლობა დაიმსახურა. შარშან გავეზარდეს გეგმა, რის გამოც წლიური, გეგმა, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ შევასრულეთ, პირადად მე კი გამომეცხადა საყვედური. აღნიშნულ პირობებში გეგმის გაზრდა ყოველმხრივ გაუმართლებელია, რის დასაბუთებასაც ქვემოთ შევეცდები.

როგორც მოგვხსენებთ, ჩვენთან ხორციელდება გრანდიოზული პროგრამები მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად: საბინაო მშენებლობის ფართოდ გაშლის პირობებში ხალხი სულ უფრო მეტად კმაყოფილდება საცხოვრებელი ბინებით, დღითიდღე უმჯობესდება საკვები პროდუქტებით მომარაგება, გაუმჯობესდა საცხოვრებელი გარემო, რაც გამოიხატება ტყეების და მწვანე მასივების გაშენებით და შესაბამისად მოსახლეობის მიერ შესასურთქი პარკის გაწმენდა-გაქანსაღებით. მედიცინის პროგრამა, მოსახლეობის საყოველთაო სამედიცინო მომსახურების ფართოდ გაშლამ და სავალდებულო სანიტარულ-ჰიგიენურმა პროფილაქტიკამ გამოიწვია ისეთი ავადმყოფობების დამარცხება, რომლებსაც უწინ საფლავში ჩაჰყავდათ ადამიანები. გარდა ამისა, ფართოდ განვითარდა გერონტოლოგია. ყოველივე ამის გამო გაიზარდა ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა. თუ წინა საუკუნეში, სტატისტიკური მონაცემებით, რა თქმა უნდა, ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა უდრიდა 60,6 წელს ჩვენს დროში ეს რიცხვი 68,9-მდე გაიზარდა. აქედან გამომდინარე, შემცირდა სიკვდილიანობა. ეს პროცესი დამახასიათებელია თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნისათვის, ხოლო საქართველოსთვის, რომელიც ხანდაზმულების მხარედ ითვლება, მითუმეტეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ჩვენი კანტონისთვის გეგმის არა მარტო გაზრდა, არამედ თვითონ არსებობაც კი გაუმართლებელია (თუმცა ახლა ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება დამგეგმავი ორგანოების წინაშე სისურველად არ მიმაჩნია, რა თქმა უნდა). მე, საერთოდ, გეგმის წინააღმდეგი არ ვარ, პირიქით, გეგმა უნდა ჰქონდეთ ისეთ ორგანიზაციებს, როგორცაა ფაბრიკა-ქარხნები, სავაჭრო ობიექტები და სხვა. მაგრამ ჩვენი კანტონისთვის გეგმის გაზრდა ყოველად გაუმართლებელია!

გთხოვთ, ზემდგომი ორგანოების წინაშე აღძრათ საკითხი, რომ გაითვალისწინონ ჩვენი მუშაობის სპეციფიკა და შეგვიმცირონ გეგმა ადრე არსებულ მაჩვენებლებამდე, რაც საშუალებას მოგვცემს კვლავ გადაჭარბებით შევასრულოთ იგი და ჩავდგეთ მოწინავეთა რიგებში!

ვ. ა. ქელეხაშვილი.
16. 1. 1988 წ.

მდ. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების არყოფნა-ყოფნის სამართველოს უფროსს დ. ძლიერიშვილს ყოფნა-არყოფნის სამართველოს უფროსის გ. სამარიძის

მოსხენებითი ბარათი

მოგასწავნებთ, რომ ჩემდამი დაქვემდებარებულ დამკრძალავ კანტონებს თქვენს მიერ დაშვებული ბრძანებით გაეზარდა გეგმა, რის გამოც, მთელმა რიგმა ანალოგიუმა ორგანიზაციებმა შარშან წლიური გეგმა ვერ შეასრულეს, თუმცა მანამდე ყოველთვის ასრულებდნენ გადაჭარბებით, საბინაო მშენებლობის, კვების, საცხოვრებელი გარემოს გაქანსაღების, პარკის გაწმენდის, მედიცინის და, აგრეთვე, გერონტოლოგიის დარგებში კრანდიოზული პროგრამების განხორციელება იწვევს მოსახლეობის კეთილდღეობის და საყოველთაო ღრუბრძლივობის განუზრუნვლად ზრდა-გაუმჯობესებას და აქედან გამომდინარე მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდას 60,6-წლიდან 68,9 წლამდე, ხოლო უახლოეს მომავალში დაგეგმილია ამ რიცხვის 72,2-მდე გაზრდა. ასეთ პირობებში ბუნებრივია, რომ სიკვდილიანობა თავისთავად კლებულობს. იქმნება პარადოქსული სიტუაცია: ერთის მხრივ კლებულობს სიკვდილიანობა, მეორეს მხრივ იზრდება გეგმა დამკრძალავი კანტონებისათვის, რაც ყოველად გაუმართლებელია.

მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის საყოველთაო განუზრუნვლად ზრდას პირობებში გაუმართლებლად მიმაჩნია ჩვენი გეგმის გაზრდა და, გთხოვთ, ზემდგომი ორგანოების წინაშე აღძრათ საკითხი გეგმის შემცირების შესახებ ადრე არსებულ მაჩვენებლებამდე.

გ. სამარიძე

20. 1. 1988 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 181

დაგეგმვის განყოფილება

გავეცანი რა ამხ. დ. ძლიერიშვილის მოსხენებითი ბარათის არგუმენტების შინაარსს, დაუსაბუთებლად მიმაჩნია თხოვნა გეგმის შემცირების შესახებ. თუ მთელი რიგი წლების მანძილზე გეგმა დიდი გადაჭარბებით სრულდებოდა, აქედან გამომდინარე, გეგმის გაზრდა გეგმის ზემოთ შესრულებული მაჩვენებლების მიხედვით გამართლებულია, შარშანდელი ჩავარდნა გამოწვეულია შემთხვევით და მას ორიენტირად ვერ მივიჩნევთ. მოთხოვნა გეგმის შემცირების შესახებ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. აქედან გამომდინარე ვებრძანებ:

1. მდ. მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების არყოფნა-ყოფნის სამართველოს დაქვემდებარებულ დამკრძალავ კანტონებს გაეზარდოს გეგმა 10%-ით.


ყოფნა-არყოფნის და არყოფნა-ყოფნის სხვა სახიცოცხლო ხაკითხების მთავარი სამმართველოს უფროსი — ვ. ი. გამეზარდაშვილი.
1. 2. 1988 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 20.8


მუშაობაში გამოვლენილი არაკომპეტენტურობისთვის, რაც გამოიხატება დაქვემდებარებული ორგანიზაციებისადმი გეგმის დაუსაბუთებულ გაზრდაში, ჯამლეტ იაღონის ძე გამეზარდაშვილი განათვისუფლებულ იქნას სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ყოფნის სამმართველოთა გაერთიანების გენერალური დირექტორი
ც. დამიცადაშვილი.


მოგონილი საბუთებით აშბის შემთხვევი —
სოლ. მელომანიძე



ვახტანგ კუთია



— ხორცი არა გაქვთ?
— ხორცი რა არის?!



— მასწავლებელთან დავაწყებინე სიარული... სროლაზე!



— უფროსო, რა ვუყოთ ამას. გაიძაბის ხუკის მწვადი მინდომი!



— გამაგებინე, თუ ძმა ხარ, თავისუფლება და დამოუკიდებლობა ბაზრის ფასების გადიდებისათვის უნდა მოვიპოვოთ?



— ექიმო, თვალეში სულ წრეებს ვხედავ!



— კომუნიზმის მშენებლობიდან ორი აგურიც აღარ შეგვრჩა თავში სახლელად!

ქართული ზეპნის ხელოვნება

საქართველოს
საზოგადოებრივი
საბავშვო გამყარების
კომიტეტი

სოფლის მონატრება
 შორს დამარჩა ჩემი სამშობლო,
 ნიავი მადლის მთისანი,
 სულის ჩამდგმელი ტყეები,
 შიგ — ჭოგი ირმებისანი,
 ზვირთებდად გადმონადენი
 დუღუნე ლოპოტისანი,
 მთებს შუა ჩემი სოფელი,
 მინდვრები ვარდებისანი,
 ზედ დაფენილი ნაკადად
 სხივნი ცხრათვალა მზისანი,
 იქ მოპარული ტრფიალი,
 სურვილი ქალ-ვაჟისანი,
 ელვად ნატყორცნი ისარი
 ლამაზის თვალებისანი..
 ნარგიზისფერი თვალები,
 საკუთარ ჩემი მზისანი,
 მისი წარსული ამბავი,
 ჩემებრ ტანჭული დღისანი..
 მე მინდა მისი თვალები,
 არ მინდა, არა, სხვისანი!



უნდობელია ბუნება

ამოიღებრე, ჩონგურო,
 კარგად მომართე სიშები,
 ქალარა გულში დააშრე
 ჩემი ცრემლების წვიმები..
 ალაფრთოვანე გონება
 უმწყო, ანატირები,
 დახშულ-დაბმული გრძნობები,
 დამზრალი, შენაცივები,
 რომ დამფარვია საშუღმოდ
 ამ წუთისოფლის ჩრდილები,
 დამარჩალა უნუგეშოდა
 ბედისგან განაწილები!
 აველას ერთფერად ვერ აბობს
 მცხუნვარე მზისა სხივები,
 შუქს ხომ ბნელი ნთქავს საერთოდ,
 იასაც სჭაშენ ჭიები!..
 უნდობელია ბუნება, —
 არ არის გასაკვირვები!

მთქმელი ნინო ბოძაშვილი
 (თელავის რაიონი, სოფელი ლა-
 ფანყური)

რაღა უნდა გაუჭირდეს
 ზოგიერთა დედ-მამასა?!
 კაი ზვილებ გამაადგა
 შოთასა და ელდარასა:
 ქეიფობა მაუნდებთ,
 ველარ იქმენ ველარასა..
 შინ ჭალაფთ ხათრს არ უტებენ,
 სხვებს ადებენ ბეგარასა..
 ზოგან ღვინოს იპარავენ,
 ზოგან კიდეც — დელაოსა!
 ვითომ მდიდარ მშობლები ჰყავთ,
 რაღა პარვენ ქვეყანასა?!

ისე არ გეგონოთ, მაკრთობდეს
 მოულოდნელად სიკვდილი,
 მაგრამ რა გითხრათ სიტყვითა?! —
 აღბათ არ არი სირცხვილი —
 მიქელა მეპატიებდა,
 ძალით დამიწყო წიდილი.
 იმის პურ-მარილს მირჩვენავ
 ორ კვირაობით შემშილი!
 მე შენთან საქმე არა მაქვს,
 წადიო, შორით მივკვივი!

აპთანდილო!
 რა კარგ საქმე გიკეთებავ,
 ნათლიმამავ, ავთანდილო, —
 ჰქსოვო ქათმის საბურღები,
 სოფელ-სოფელ ანაწილი
 იმით ნაშოვნი არაყი
 ამხანაგებს აყლაპვინო!
 უთრევიხარ ლოპოტასა,
 საქმე უქნავ საშარცხვინო,
 წაურთომის გოდრებიცა —
 დახე, კაცის გასაპირო!
 აქამდე თუ არა მითქომ,
 ეხლა მაინც გაგაფრთხილო:
 ეგით საქმე აღარა მქნა,
 საშარცხვინო, სათაკილო!..
 არაყის გულისათვინა
 სული ეშმაკთ არ შასწირო!
 წყალს არა დაერჩობინო,
 მტერი თავზე არ აცინო,
 შეილებს საყვედურ დაადვა
 და ბაბაღე აატირო!..
 ან მე სიმართლის თქმისადა
 არ გამლანძლო, არ მაგინო!
 სუ ყოველდღე არაყის სმა
 არც კარგია, არც საპირო!

მთქმელი ლუპა მთიბალაშვილი
 (თელავის რაიონი, სოფელი ლაფ-
 ანყური)



მოხუცის ჩივილი

მიჯავრდება დედააკი
 ესე დაბერებაზედა..
 დაბერება როდის არის
 ნეტავ კაცის ნებაზედა?!
 მენაც მინდა, ჭეილ ვიყო,
 ქულ მეხუროს კეფაზედა,
 ვიყო აგლა-ვაგლაშია,
 ხელს ვიცემდე წკებლაზედა.

მთქმელი ფილიპე ღვინიაშვილი
აქებან კოლექტივებსა

აქებენ კოლექტივებსა,
 თან ავრცელებენ ჭორებსა.
 მე უფრო გამეხარდება,
 მამიქურჩებენ სწორებსა.
 ერთ ქვრივს მეც შავებლატები,
 როგორც ბაყაყი ყორებსა.
 მოვიდეს თავმჯდომარეი,
 ჭობით ვერ მამაშორებსა!

ბალსური
ფრუშპას პაფია

თიანეთის რაიონულ გაზეთს
 ერთ დროს რქმევია „ახალი სო-
 ფელი“, შემდეგ მისთვის დაურქ-
 მევიათ „კოლექტივიზაცია“. ამის
 შესახებ ფრუშპას უტყვამს კაფია:
 „ახალ სოფელს“ დაუძახეს
 „კოლექტივიზაციაო!“
 „კოლექტივიზი შადი!“ — მითხრეს,
 სამ დღე-ღამეს მაციაო!
 ორნი ერთურთს ვერ ვეწყობით—
 მე-დ ჩემ დედააკიოო,
 გავაჯარებ, დამაყვედრის:
 „ჩემ შაკერილ გაცვიო!“

! მომიგროვებენ.

ნავროთ ქორწილი
 ნავროთა ჰქონდა ქორწილი,
 ტაშის ხმა გამოდოდა,
 ტრიალებს დარეჯანაი,
 ბუქნაში ამოდოდა,
 იმის დაკარგულ ძროხები
 მაჩხაურს შემოდოდა!..

მთქმელი ბაბაღე ბურაშვილი
მწყემსის სიზმარი

სიზმარი ვნახე მწყემსურთ:
 „ცხვარსა ვმწყემსავდი მთაშია.
 ვთქვი, სუყველაფერს ვიუბნებ,
 ხანამ გრძნობა მაქვს თავშია,
 ცხვარი მთის კალთებს შეგვინე,
 წვიმდა, ამინდი გაცუდდა!..
 ვთქვი, ქორაფს შეეფარები,
 საქმე რომ ძან გართულდა!..
 წვიმამ იმატა, ჭანდები
 მთებს მოეკიდა შავდა!..
 ვუყურებ, ცხვარიც შეიკრა,
 გაჩერდა თავისთავადა.
 ფიქრებში ვიყავ გართული,
 მენმა იტეკა წამშია!..
 ფერფლად გვაქცია დელგამა
 მეც და ქორაფიც გზაშია.“
 შევშინდი, გამომეღვიძა,
 თუცა ვცურავდი წყალშია!..
 ცხვარ-თოხლსაც თვლი მოვავლე,
 ღმერთიც დავლოცე ცაშია!

მთიელ გოგოს

ძროხებს ყურ უვდე, დობილო,
 შინ დაგტუქსავენ ჭალაფნი.
 ხომ იცი, შავათთან შოდის
 ერბო, ხაჭო და კარაქი!..
 წინდებ დაქსოვე ფშაური,
 გრძელი ჩაიცვი ხალათი.
 ხანდახან კი არა უშავს,
 ჩახვიდე, ნაბო ქალაქი!
 მოეწონები ბიჭებსა,
 იქ არ დაგტოვონ ძალათი!
 უთხროდე: „მე აქ ვერ გავძლებ—
 მადლიოო ათას მანათი!“

მთქმელი ბარბელ ჩინაშვილი
 (თელავის რაიონი, სოფ. ლეჩური)
 მასალები მოამზადა თბილი-
 სის სახელმწიფო უნივერსი-
 ტეტის ფოლკლორისტიკის
 კათედრის თანამშრომელმა
 ბრინსტან მახაშვილმა.

საბრძოლო



შემოვიდა მოდაში
გატაცება ბავშვების..
ხალხნო, ღმერთი აღარ გწამთ?!
ხალხნო, ამას რას შვრებით?!
ისე როგორ დაეცით,
ისე როგორ აიშვით,
რომ საკუთარ დედ-მამას
ასყიდვინებთ თავის შვილს?!

რომც დაკარგონ, წუწუნით
არავინ არ გადაგვღლის,
მაგრამ შენ თუ დაკარგე
და საქვეყნოდ აუვირდი,
შენს საცოდავ მანქანას,
ნაწილ-ნაწილ გაუიდიხს..

და ვერ ვხვდებით, რისხვისგან
თავზე ცა რომ გვექცევას..
გაუვიდათ თავს, ვატყობთ,
ვინც ეს საქმე იკისრა,
და ჩვენც, ალბათ, სულ მალე
ავგიჭედავს ბინის კარს!
უკვე აღარ დავეძებთ
ბინის ჭედვა-დაკეტვას,
ახლა იმის შიში გვაქვს,
არ გვესროლონ რაკეტას..
ეს მიტომ, რომ ჩვენ თვითონ,
ერთმანეთის მღურებით,
ავიხვიეთ თვალები,
ავიჭედეთ ურები..

შემოვიდა მოდაში
გატაცება მანქანის,
არდანდობა არავის —
არც კაცის და არც ქალის!
ოთხი-ხუთი მანქანა
ბევრს ჰყავს ამ ჩვენს მამულში,
ღმერთმა მისცეთ ათ-ათი
ხელს არავინ არ უშლით!
მათთვის ერთი მანქანა
ჩალის ფასად არა ღირს,

შემოვიდა მოდაში
კაბინეტის აჭედვა..
ვეღარ მივხვდით მაშინვე,
ეს რომ სირცხვილს გვაჭმევდა..
და მას მერე, დღითი დღე,
აღებენ და ჭედავენ,
პასუხს არვინ იძლევა,
ვისაც გინდა, ეღავე!

ვისაც უნდა, რაც უნდა,
როგორც უნდა, გვექცევა

გურამ კლდიაშვილი



ნახ. 8. აბაშიძისა

ვინაა ფოსტის თქმული?!

საქართველო
გეოგრაფიკული

ჩემს სიცოცხლეში ბევრი რამ მიბატრებია ფოსტისათვის: დამახინჯებული, ზოგჯერ კი საერთოდ გაუგებარი დეპეშის ტექსტი, ერთი თვის დაგვიანებით მოსული წერილი, განახევრებული ამანატი, ნაშუადღევს მოტანილი დილის გაზეთები, ყოველთვისურად რომელიმე უფრანდის დაკარგვა.. მაგრამ იმას, რაც ჩემმა საფოსტო განყოფილებამ ამ წაფხულს დამშართა, ვაპატიებ კი არა, სასამართლოში უნდა ვუჩივლო!

აი, მომხსენეთ და თავად განსაჯეთ, მართალი ვარ თუ არა!

დიდი ვაი-ვაგლახით შეკოწიწებული თანხით ცოლ-შვილი დასასვენებლად გრიგოლეთში გავგზავნე და, როგორც იქნა, მარტოდ დავრჩი ჩემს საწერ მაგიდასთან. ისტორიული რომანი მქონდა სასწრაფოდ დასამთავრებელი და, ჩემი ვარაუდით, მარტოდ უფრანდის ერთი თვე სავსებით შეუფოცდა სამისოდ. ეს ვარაუდი კიდევ უფრო გამომტკიცდა, როცა კვირისთავზე იოსებური პასხით გადაკრულებული ფურცლების დასტას შევაგლე თვალი.

რა დამავიწყებს — ორშაბათი დილა გათენდა. ის იყო, მაგიდას მივუჭექე, რომ კარზე წარმა დარეკა. უკმაყოფილოდ წამოვდექე, დაუპატიებელი სტუმრის მისამართით ორიოდ სიტყვა წავიდულუნე და კარს მივაღებე.

— ვინ არის? — ვეითხე მკვანედ (ცხელოდა და შილიყად ვიყავი ჩაცმული).

— თქვენს სახელზე დეპეშაა! — მიპასუხეს გარედან მელოდური რუსულით.

— ახლავე, ერთი წუთით! — გავხეხაურე, შარვალი ჩავიცვი, პერანგში ხელები გავუყარე, ერთი დიდი შევიბინე და კარი გავაღე. კიბის მოედანზე ქერათმიანი, ცისფერთვალა ფერია იდგა, ხელში დეპეშის ბლანკი ეჭირა და თვალისმომჭრელად იღიმებოდა.

— თქვენს სახელზე დეპეშაა! — გაშიშვლოდა და ქალღმერთის ფურცელი გამომიწოდა.

— შე-მობრძანდით! — დამება ენა. — შე-მობრძანდით!..

შემოვლიდა.

ოთახში ყველაფერი ყირაზე იდგა და ვინანე, რად შემოვიაბიეთე-მეთქი, მაგრამ რაღას ვიწამდი?!

— თქვენ ჩვენი ახალი ფოსტალიონი ხხართ? — ვერაფერი მოვუხერხე ამ სამგლე ენას.

— ერთი თვით, მხოლოდ ერთი თვით! — ოთახი გაანათა მისმა ღიმილმა, — დეიდა ვარა შევბუღებამო და...

დეიდა ვარა კბილებჩაცვნილი ნალოთარი და კიდევ ნარაღაცარი სახედამანჭული ორმოცდაათი წლის დედაკაცი იყო. ეს კი...

დეპეშა სამკერ გადავითხე და ძლივს გამოვიტანე აწრი, რა ეწერა შიგ. არადა, ყველა სიტყვა სწორი იყო და თავის ადგილას იჭდა: ნათესავი ქორწილში შეპატიეთე-ბოდა.

— თქვენ რა, მარტო ცხოვრობთ? — შეითხა ფერია, პაწია ბლანკი გამომიწოდა და თითი იმ ადგილს დაადო, სადაც ხელი უნდა მომეწერა.

ბუნჩულა, ვარდისფერი, ლამაზმანიკურიანი თითი მქონდა.

— ერთი თვით! — გლიმება ვცადე და გულს შევასკდი, ამ ენაზე რა ჭირი შეტაკა-მეთქი.

ჩაიკისკისა.

— მაშ, ერთი თვით, არა? — და ხელმოწერილ ბლანკს დასწვდა.

ჭიბიდან მანეთიანი ამოვაძვრინე.

— რა საჭიროა?! — გაინაწა და ცისფერი შუქი შემომანათა. — თუმცა, რაკი არ იშლით!..

— დღაბრძანდით!.. — დავიბლუკუნე.

— არა, არ შემიძლია, დეპეშები მაქვს დასარიგებელი — შითხრა და, როგორც მომიჩვენა, იდუმალი მწერა წამავლო.

— კიდევ შეშინაგილით? — ღია კარი რომ გაიარა, მივაღვევე.

— დიახ, თუკი დეპეშა მოგივით! — ჩაიკისკისა და შევლივით დაეშვა სართულისაკენ.



ქიპა ცივი წყალი არაყივით გადაკარი და ჩემს საწერ მაგიდას მივუბრუნდი. მაგრამ გაწყდა ფიჭისა და წერის ძაფი და არ იქნა, ვეღარ გადავბი სიტყვა სიტყვას და წინადადება — წინადადებას. ვწერდი და ვშლიდი, ვწერდი და ვშლიდი.. აჭრულბული ქაღალდის ფურცელს დავუყრებდი და, ნაჩხაპნის ნაცვლად, წიდან შემოფრენილი ფერიას მოღიშარ სახეს ვხედავდი.. ჩემი ტლანქი თითების ნაცვლად, საწერ-კალაში რომ ეჭირათ, ის ბუნჩულა, ვარდისფერი თითი მელანდებოდა. საწერ-კალაში მივაგდე, წამოვდექე და უაწრო ბოლოთისცემას მოვყევი ოთახში.

მოსვენება დავკარგე. ვერც იმ დღეს, ვერც მეორე დღეს მუშაობის გაგრძელება ვერ მოვახერხე. ქალის მეტი რა მინახავს — ჩვეულებრივად, ლამაზად და მწეთუნხავად, მაგრამ ამას რაღაცნაირი, განსაკუთრებული ხიბლი მქონდა! ერთი თვითო.. ათიოდ დღე უკვე გავიდა.. ჩვენს საფოსტო განყოფილებაში მოვკითხო? სახელიც რომ არ ვიცი?! ის მაინც ვიცოდე, რომელ კორპუსში ცხოვრობს, დილას ან ხალხს დავუდარაჯდებოდი აუ, როგორ უხდებოდა ღიმი-

ლი.. რა ხმა აქვს.. ტანი? ფეხები.. გული გაგისკდება კაცს!..

და უცებ, ერთ ხალხს, სავსებით მოულოდნელად, გონება სასწაულებრივმა აწრმა გამინათა. შუბლზე ხელი ვიტაკიცე. იმ საღამოს რაღა იქნებოდა — გვიანი იყო, დილით კი, ათი საათი გახდა თუ არა, ბინის კარი გამოვიხურე, მეტროში ჩავძვერი, სადგურ „რუსთაველზე“ ამოვძვერი და მთავარი ტელეგრაფის შენობას მივაშურე.

ჭიბეში სულ ახიოდე მანეთი მქონდა, შევბუღების ბოლომდე უნდა მყოფნოდა. მოლარეს ბლანკი გამოვართვი, საწერ-კალაში მოვიმარჯვე და მტკიცე ხელით შევავსე — ჩემი საკუთარი ბინის მისამართზე საკუთარ თავს სამოც მანეთს ვუგზავნიდი. ფული, ჩემი ვარაუდით, ერთ კვირაში მაინც უნდა მიმეღო. დარჩენილი თანხით, სამი დღის შემდეგ არაყი და ხვადანხვა ხელი ვიყიდე, მაცივარში ცოტაოდენი ხიწილადა მქონდა, კარაქიც, შებოლილი ძეხვიც, შოკოლადის ნაჭრებიც. მეტი რა უნდოდა ორი კაცის სუფრას?! მოვიმარაგე ყველაფერი ეს დე მონადირისავით ჩავსაყრდი საკუთარ ბინაში, ჩემს საწერ მაგიდასთან.

ფულის გამოგზავნიდან ერთი კვირა გავიდა.

წარმა დარეკა. წამოვხტი, სკამი ხრივით გავწვი, ხილითა და არყით გაწყობილ მაგიდას გზადგაზა მწერა შევავლე და კარი გავაღე. მუგუწალივით შავი კაცი იდგა შემოსასვლელში, თელახის ინკასატორი ვარო! მრიცხველი შეამოწმა და წავიდა.

ნაშუადღევს ისევ დარეკა წარმა.. ისევ ვეცი კარს და ახლა გაჭქურების ხელოსანი შემჩრა ხელში.. ქურის ონკანებს რაღაც საცხი წაუსხვა და შენიშვნა მომცა — სამწარეულოს სარკმელი მიხურული რატომ გაქვთ, დია უნდა იყოს, სათავსი მუდმივად უნდა ნიავედბოდესო!

გულისფანცქალით ველოდი მისამე წარს, — ღმირი საშობითა-მეთქი, თავს ვიმიედებდი, მაგრამ ის დღე ისე დაღამდა, აღარავის შევუწუხებვიარ.

მეორე დღეც ამო ლოდინში მიილია. შესამეც, მეოთხეც!..

ბაწარში წავედი და ხილის მარაგი გავახლე. ვითუ, ჩემი ფერია ჩემს არყოფნაში მოვიდეს-მეთქი, კარზე გარედან ქალღმერთის ფურცელი მივაკარი, წედ რუსულად დავაწერე: „ერთი საათით გავდივარ. ამა და ამ საათზე შინ ვიქნებო“.

ბაწარდან მობრუნებულს ბარათი ხელუხლებელი დამხვდა. „იმა და იმ“ საათზეც არავინ მოსულა.

მეორე კვირაც მიილია. ხილის მარაგი ისევ გავახლე და ჭიბეში ორიოდე მანეთილა დამჩრა. ერთი დღეც და, თუ ფული წეგაც არ მოვიდა, შიმშილობა უნდა დამეწყოს.. ნერვიულობისაგან წნევამ ამიწია!..

ოო, რა სიტყვებით ვთათხავდი ჩვენს საფოსტო სამსახურს! იმ განყოფილებაში

დავრეკე, საიდანაც ფული გამოვიგზავნი ჩვენ, ბატონო იმავე დღეს გადავგზავნეთო, მიიხსუხეს. ახლა ჩემს საფოსტო განყოფილებაში დავრეკე. არა, ბატონო, ჭერჭერობით არაფერი შიგვიღია, რომ მიგვეღო, რატომ გავაჩერებდითო?!

სადღაც შუა გზაზე, რესპუბლიკის მოედანსა და გლდანს შორის თუ გაეჩხირა ჩემი სამოცი მანეთი.. ორი კვირა, კაცო?!

სუთიოდ დღეში ცოლ-შვილიც დაბრუნდებოდა გრიგოლეთიდან..

და აი, ერთ მზიან დილას, როგორც იქნა, გაისმა ამდენი ხნის ნალოდინევი წარის წკრილი.

წამოვბტი, სკამი ხრიგინით გავწიე, ბილითა და არუთ გაწყობილ მაგიდას სწრაფი მზერა შევახვე. კარს ვეცი, გამოვადე და... აუ, ახლა ვხვდები, რა ხანახავი ვიქნებოდი იმ წამს, რადგან, შემხედა თუ არა კბილებჩაცვენილმა, ნალოთარმა და კიდეც ნარაღაცარმა დეიდა ვარამ, ფერი ეცვალა, ნაბიჯით უკან დაიხია და კიბეზე დაგორებული ცარიელი კასრით ჩაიხრიგინა:

— რა მოგივიდათ?!. თქვენს სახელზე ფულის გზავნილებია!

— რრის? — დამეხა ენა. — რრა ფული, რრის ფული?!

— აი, ინებეთ, სამოცი მანეთია!

ბლანკი გამოვართვი. შევატრიალ-შემოვატრიალე. საკუთარი ხელწერა ვიცანი.

— ხომ სწორია? — ფრთხილად მკითხა დეიდა ვარამ.

— კი, სწორია! — ჩავიღულულე. — თქვენ უკვე გამოსხვდით შევებულებიდან? დაგმითავრდათ?

— სუთიოდ დღე კიდეც მქონდა, მაგრამ უსაქმოდ ვეღარ გავძედი. — დეიდა ვარამ კბილებჩაცვენილი ღრძილები გამოაჩინა. — ხომ არ გავაწვავლათ იმ ტინგიცა გოგომ?

ტინგიცა.. გოგომ!.. ტინგიცამ!..

ფოსტალიონმა სამოცი მანეთი ჩამითვალა. სამმანეთიანი ვაჩუქე. გაიპატავა, მერე კი...

— თუმცა, რაკი არ იშლით!..

გამომართვა და წავიდა.

აი, ასე იყო ეს ამბავი.


მაშ, არ უნდა ვუჩივლო ჩვენს ფოსტას! მაშ, უნდა შერჩეს ჩემი იმდენი ხნის ამოლოდინი და ნერვულობა?!, მაშ, უნდა შერჩეს, იმდენი ხანი რომ ვიშიშდი?!, მაშ, უნდა შერჩეს, ის უცნაური ფერია სამუდამოდ რომ დამაქარგვინა?!, რომანიც რომ დაუმთავრებელი დამჩა?!

უნდა ვუჩივლო თუ...

თუ დავიცადო მომავალი წლის გაზაფხულამდე, როცა დეიდა ვარამ ისევ აიღებს მორიგ შევებულებას?!

ვიყო ფოსტის იმედით?!

ნუგზარ აფხაზაძე



ნახ. ბ. ზუბაშვილისა



აქეთღა გკბანენ იქით სკკბანენი!..

ვინ შეგებრადებს?! — არ დაიჭერო!
ან სიბრალული გიშველის რამეს?!
განა, ვერ ხედავ, არ გითენდება,
თავს ველარ აღწევ ამ უკუნ ღამეს?!

შენ ხარ ღამურა, ისიც არა ხარ, —
რად ვერ გაიგე, ძალღო ბებერო?!
ნუღარ წკმუტუნებ, გისმენს კი ვინმე?!
არ დაიჭერო!.. არ დაიჭერო!..

იქით ხაკბენნი აქეთღა გკბენენ,
ამღენი მტრობით ესოდენ დაღლილს!
ძალღი ის არის, ვინც არ გასვენებს,
შენ კი რა გცხია, საწყალო, ძალღის?!
გვიანღა მიხვდა გონზე მოგებას —
გაბმით ყმუოღა ბებერი ძალღი!..
კაცის აჩრდილი მიუახლოვდა
თავის თვისტომთან ესოდენ დაღლილს!

ღამე უკუნით ფარავდა სახეს,
ბრმას ცრემლს უშრობდა უფერო ქარი,
ყმუილის ექო აიტაცა და
შას შეუერთდა ღანღის ხარხარიც:

ვის რად სჭირდება?! არ გჭერა, განა?!
შაშ, რითი გახდი თავად მოვწენი?!
მიწას გართმობარ, როგორც გლახაკი,
თავს ლაფი გეხსმის აუწონელი!..

არ გეღირსება წელში გამართვა, —
ისე გაგთელეს, ისე გაგწირეს!..
აღამიანი ფინიად იქეც! —
ამაზე შეტად რა დაგამცირობს?!
იფერფლებოდა ძალღის სიცოცხლე,
შას შენატროდა აღამიანი!..
იგი ოცნებით ზარავდა ღამეს
და ღამეც იდგა თვადტრემლიანი!..

ვლადიმერ დარჩია (ქ. ბ ა ტ უ შ ი)

თქვენ მოგმართავთ!

დიდო დავით, დიდო თამარ,
რომ იცოდეთ, რა გვჭირს, რა ჯართ, —
ქანმრთელები, ტანმრთელები,
გახდებოდით აღბათ ავად! —
დავივიწყეთ სახლიც, კარიც,
თვეში ცხრაჭერ თურქეთს დაჭაღთ! —
სულ გავწიღეთ სამრეწველო,
საოჯახო კინეტი, მონძი,
ოქრო, ვერცხლი, თიხა, რკინა,

საცხოვრისი დედაბოძი!..
და თურქეთის ქუჩებს ვავსებთ
ქალით, ქართველ ანგელოზით!..
რა გვაწუხებს?! არაფერი!
ცვხოვრობთ ასე უღარდელად,
ბედელს პური თუ არა გვაქვს,
განა ვღარდობთ, განა ვღელავთ?!
არც მას ვჭავრობთ, ქართულ სინღისს,
ბინძურ წიხლით თუ გაფთვლავთ!
პირველობის სენი რომ გვჭირს,
თქვენთან ერთად, ვიცით, ვხვდებით,
ვისაც მხრებზე თავს შევამჩნევთ,
უმალ შისი მტრები ვხვდებით!
უთავოდაც კარგად ცვხოვრობთ,
პირველები თუ ვიქნებით!
დიდო თამარ, დიდო დავით,
რაც გვჭირს, ისევე ჩვენიც თავით
გადავგვარდით, უბეს ვივსებთ
სამოყვასო გესლით, შხამით!..
მტრის წიხვილზე წყალს ვასხამთ და
სახულავს ვუთხრით მამულს ამით!
დიდებულო წინაპრებო,
მოგმართავთ, ვით ერის შვილებს:
თქვენი წყალი გადასხმოდეთ
ამ სატირულ ლექსის გმირებს!

ივარ თაბატარი (ჭიათურა, სოფელი თაბატარები)

პალტო

ხალხური მოტივიდან

მოდოდა ერთი კაცი,
ღამე იყო მთვარიანი,
წინ ელოდა თურმე მარცხი —
პალტო ეცვა გვარიანი.

უცებ, ბნელი კუთხის აქეთ
(დაავიწყდა, ტანთ რომ ეცვა),
— „ძია, პალტო გაიხადეთ!“ —
პატარას ხმა შემოესმა.

გაღიმა იმ კაცს, იგი
ჭერ ვერ მიხვდა, ბავშვმა რა თქვა,
ვით მწრუნველმა და ვით მამამ,
ბავშვს ურჩია ხალხში წასვლა.

მაგრამ ბავშვი უნიანობს,
— „გაიხადეთ, ძია, პალტო!“ —
და აღუდგა იმ კაცს ამ დროს
ბრგე ვაჟკაცი, იქვე, ახლოს!..

— „შეუსრულეთ, მოქალაქე,
თქვენგან რასაც ითხოვს ბავშვი!“
და იმ ერთ კაცს, იმ ღღის აქეთ,
უპალტოს ვხვდები გზაში!

ლევან სულავა




ბრალდებულის საზოგადოებრივი სიტყვა

ახლა მთლად უხედური ვარ,
დავიღუბე და ეგ არი —
ვარდები ვკრიფე უიკლოდ,
ახლა მჩხვლეტს დიდი ეკალი!..
რას ვიფიქრებდი, ბედშავი,
ფულით ვერ ვუშველიდი თავს?!
რას ვიფიქრებდი, რომ ამ დროს
ჩემგან არ შიიღებდნენ ქრთამს?!
ნურც დავრჩენიღვარ ცოცხალი,
ცოლ-შვილიც ამომწყვეტოდეს, —
ქრთამზე რომ ეთქვას უარი, —
ჩემს ირგვლივ მეგულებოდეს
ეს მე ჩავვარდი, შავებღმა
ოჯახი გადაშირია!..
ხხვებს ხელთ უპყრით ხახმისი,
„საქართველოო!“ — ყვირიანს
კამენ, ხვამენ და მღერინან —
„სხვა საქართველო ხად არის?“
თავაწეულნი დადიან,
არვინ ბგონიათ ბადალი!
„თვლი დაგიდგეს!“ — ერთმა თქვა —
„უფროსებს როგორ ძრახავო?!
მაგ სიტყვით თავს რომ იღუპავ,
სულ მალე დაინახავო!“
შე მ დ ე გ ?..
... ესე ამბავი, მართალი,
იმ ბრალდებულის სიტყვა!
მერე ვაი-განაჩენი,
თავში მუშტების მირტყმა!

ლალა მარტაშვილი

— გავიგე, ვაუბატონო, ვილაც საეჭვო ქალი ჩაგის-
ვამს მანქანაში.. ახლა მე გინდა ჩაგიჯდე, მაგრამ ვერ
ელირსები!

— ნუ გეშინია, ქალო, გამოვხარზე მანქანა!..



ნახ. ჯ. ლოლუხანი



შეხედავ, მართლა კაცია,
ტანზე ჩვენსავით აცვია,
ზის კაბინეტში თავისთვის —
პატიოსანი კაცია!
ქრთამი?! — რის ქრთამი?!

რას ამბობ?! —
სახლში ისედაც განძი აქვს!..
მოლარედ დასვა სიდედრი —
პატიოსანი კაცია!

გიშერს თვალებით კაცურით,
უკაცურობის რა სცხია?!
სიმამრი ვაჭრობს ავეჯით —
პატიოსანი კაცია!

გჯეროდეს: მართლა რომ მისცე,
ხელსაც არ ახლებს ასიანს!..
ძმა ყიდის ბენზინს, თორემ ის
პატიოსანი კაცია!

როცა გამოჩნდა ადგილი,
უთხრეს და ხელი ასწია,
ბანკში გაუშვა ცოლისძმა —
პატიოსანი კაცია!

გამოცდილება დიდი აქვს,
თუმცა ორმოცის არც კია!
ცოლს ჩააბარა ბაზარი —
პატიოსანი კაცია!

მიხვალ, მაშინვე მიგიღებს,
ბაგეზე თაფლი აცხია!..
მოსამართლე ჰყავს ცოლისდა —
პატიოსანი კაცია!

იცის, ნამდვილად კი იცის,
სახლმა მხრები რით ასწია,
რით გახდა ასე მდიდარი,
წინ რა ფული და განძი აქვს,
რით ზრდის პატარებს,
რით ცხოვრობს,
რით იხურავს და აცვია!..

რით და, ხელფასით, ძამიკო, —
პატიოსანი კაცია!

რევაზ ლორია
(ქ. ლანჩხუთი)

8 წლის კამილკა სოფელში იყო ბებიათან სტუმრად.

ერთ საღამოს მათ ესტუმრათ აგრეთვე მისი საყვარელი ბიძა. პატარამ მყისვე მის კისერზე შეხკუბება მოისურვა.

— კამილკა, რითი გეკვებავდა დედაშენი, რომ ასე დამძიმებულხარ? — შეეკითხა ბიძა.

— კოვზით! — მოკლედ უპასუხა გოგონამ.

4 წლის პრუტეკმა გაიგო, რომ მამამისი გონებრივ შრომას ეწევა.

— ესე იგი, მამაშენი თავით მუშაობს! — აუხსნა დედას.

როდესაც საღამოს მამა შინ დაბრუნდა, პრუტეკმა მიიჩინა მასთან და უთხრა:

— მამიკო, თავი დაიბანე, რადგან მუშაობის შემდეგ დასერილი გექნება!..

8 წლის აგატამ დაბადების დღეზე საჩუქრად მიიღო მაგნიტოფონი და კასეტები. რამდენიმე დღე მათ სახლში გაშუდმებით ისმოდა ნაჩუქარ კასეტებზე ჩაწერილი მუსიკა და ზღაპრები. ერთ დღეს დედა უპეებოდა აგატას ზღაპარს თოვლის დედოფლის შესახებ.

— „დედოფალი იყო ძალიან ჭკვიანი, ყოველთვის უსმენდა მშობლებს, ბებიას, ბიცოლას...“

— და მაგნიტოფონს! — შეაწყვეტიხა აგატამ.

8 წლის ოლია დედასთან ერთად ქუჩაში მიდიოდა და ლუღუნანს ჩაუარეს გვერდით. გოგონამ შეიხედა და დაინახა, რომ მაგიდებს მხოლოდ კაცები უხდნენ და დედას შეეკითხა:

— დედიკო, ეს კაცების საბავშვო ბაღია?!

8 წლის მარტინს ძალიან უნარებოდა სათამაშოების თავის ადგილას დაწყობა. მამამ უთხრა:

— როდესაც მე თამაშობას უნდა დაიწყო, ბოდი ხოლმე, შემდეგ ყველაფერს ადგილას ადგილას ვალაგებდი!..

— ვიცი, ვიცი, დედები უფრო წესრიგის მოყვარულები არიან! — უპასუხა ბიჭმა.

პოლონურიდან თარგმნა
ამბროსი ბრიშიკაშვილი

ილუსტრაციები
ზინი ლოშიჩისა



სამი ბავთა

საკუთარი ხარჯით

მოგზავს ძველები თბილისის
მუზეუმში

განა დამის თვევითა,
განა ნიჭით, გარჯითა,
საქომ წიგნი გამოსცა
საკუთარი ხარჯითა!..

წიგნს „ჩიტუნა“ დაარქვა,
თუმცა ფრთები აკლია,
აფრენს და ვერ აფრინდა,
სიმაღლე ვერ დაძლია!

ისევ ჩარჩა ხურჩინში, —
საქულას რომ ჰქილია, —
წიგნს არავინ უიღულობს,
დღეები კი მიდიან!..



ვერ მოხიბლა მკითხველნი,
ვერ აღანთო გულები, —
მღვრიე წყალმა წაიღო
ჩვენი საქოს ჯუღლები!..

გვიან მიხვდა საქულა,
რომ ჩაფლავდა აშკარად:
თურმე კარგი წიგნისთვის
მხოლოდ ფული არ კმარა!..

ნაბიჯს ვერ გადაადგამ.
ქსელში არ გაეხვიო,
რამდენიც სარდაფია,
შიგ იმდენი მეხია!

სახლში — კოპერატივი,
ქუჩაში კი — მაგიდა!..
ჯიბეგაუფხვებელად
ვერ გაასწრებ აქედან!

რალა არ იშოვება,
რალა არ იყიდება,
რადგან გაუიღული აქვთ
სახელი და დიდება!..




მსტვენი და მუვირალა

მისთვის ყველა ერთია —
პოზიც-ოპოზიცია!
არც ერთს რომ არ არგია, —
ორივეგან იციან!

შინ ცოლ-შვილს ენატრება,
სამსახურშიც ელიან,
თუმცა მისი მოძებნა
არც ისეთი ძნელია:

დაგას, ზის, წევს რუსთაველზე,
ბრმა ჭუკივით ყიყინებს:
დაუსტვენენ, — დაუსტვენს,
იყვირებენ, — იყვირებს!..



ილუსტრაციები
ჯ. ლოლუსისი



ნახ. ჯ. ლოლუასი



და... წყურთიან ბაყრაში

ვაისუანის მე-2 მიკრორაიონში ვცხოვრობ და №156 ავტობუსში ჩავექეი, შოფრის მხარეს, შევექვე რიგის მეორე სკამზე. მეხუთე რიგში ერთი ახალგაზრდა იჯდა, რომელსაც გვერდით შუახანსმილ წეული კაცი მიუჭდა.

— გამარჯობა, ძმავე, საიდანღაც მეცნობი! — მიმართა ახალგაზრდამ.

იმ კაცს ხმა არ გაუტია.
— კაცო, არ გახსოვს, ერთი თვის წინ გურამასთან რომ ვიქეფეთ?! ეე, როგორ არ გახსოვს, ბიჭო, ვიტარა რა დავანგრევი?! რა დრო გავატარეთ, არა?! მართლა არ გაგონდება?!
— მაბატეთ, რატომღაც ვერ ვიხსენებ!

— ეე, სიმონ, რა დროს შენი სკლეროზია, ტო! როგორ, შენ ჩემთან ქეიფობდი და არ გახსოვარ?! იცი, რას ვეტყვი?! ვისაც ერთხელ ვუნახივარ, იმას ჩემი სიფათი არ ავიწყდება ხოლმე! შენ რა, მამაყირებ?! გინდა, ანდერძი ავიგო?!
— რას მერჩი, ბიძიკო, რა საქმე გაქვს ჩემთან?!

— შენთან სიმონ?! მე შენთან რა საქმე უნდა მქონდეს?! შენო-ტოლა ჯიბეები მაკერია შარვალზე!

— შეილო, თავი გამანებე, თორემ...

— რა თორემ, სიმონ?! ეჯ რა მაკადრე, ტო?! მე შენი.. შუახანსმილწეულმა კაცმა მუშტი შემართა!..

ბიჭი წამოხტა, ჯიბეზე გაივლო ხელი, დანა მოსინჯა, მაგრამ უცებ გადაიფიქრა და ცარიელი ხელი ჯიბიდან ამოიღო.

— არა, ტო, დღეს არ ვიკისრებ, დღეს ჩემი დაბადების დღეა! ეცადე, სხვა დროს არ შემხვდე, მე ჩორნას მეძახიან იცოდე, დედა გეტირება, წუთში ანდერძს ავიგებ! გაიგე შენა?! ახლა კი, ძმაო, ჩავდივარ, აბა, კარგად იყავი, გენაცვალე ყანყარატოში!.. იცოდე, შენი ბილეთი აღებული იქნება!.. — და ჩავიდა.


ალექსანდრე ვორობიშვილი

მლიქვნელის სიზღარა, თქმული უზროსის სადღაბრკალოდ

ბევრი ვეძებე და მე ვერ ვნახე
შენი საკადრი სიტყვა სადარო!
შენ ხარ ვენახი და მევენახეც,
ცისკარი, დილა და ცა სადარო!

შენა ხარ შვილიც, მამაც და დედაც,
ძმა, მეგობარი და საყვარელიც,
ყველას სიყვარულს მე შენში ვხედავ,
ყველა სიკეთეს მე შენგან ველი!

მე შენ გიგალობ, სხვას კი არავის,
ჩემო ცის გახსნავ და მზის ამოსვლავ!
შენ ცაში უნდა გედგას კარავი
და მბრძანებლობდე ადამის
მოდემას!



კომბლე

მეკითხებიან ეპვით:
რას აკეთებო, ნეტავ?!
— კომბლე ვარ, გლეხის ბიჭი,
მთასა ვგლეჯ, რეინას ვკვებნეტავ!

უდრეკი, ვითარც რვალი,
კამკამა ქართულ სისხლის!
არა ყოფილა მხდალი
ჩემი მისხი და მისხი!

დარდი მკიღია ფეხზე,
ვეძებ ღიმილის მუშტრებს!..
დავდივარ, როგორც მეზრე,
კომბალს ვიქნევ და ვუსტვენ!

კომბლე ვარ, გამჩენს ვლოცავ,
ერთი უბრყვილო ბიჭი,
მაღალმა ღმერთმა მომცა
კომბლების გათლის ნიჭი!

კომბლებს ვთლი ღიმილჩენით,
კომბლებს უდრეკი შვინდის!
მთელი სიცოცხლე ჩემი
კომბლების თლაში მიმდის!

ვთლი, რას ვაკეთებ საწყენს?!
ვთლი, მაგრამ ჭერში ვაწყობ.
„თალე და ჭერში აწყე!“ —
მომძახის ჩემი აწყყო..

ვთლი და ვთლი ღიღინ-ღიღინ
(ზომ არა ვქექავ ნაცარს?!)
ერთ ღიდ სიცოცხლედ მიღირს,
ვაკეთებ, მინდა რასაც!

თან ვზრდი ძმასავით ხბოსა —
წიქარას უმცროს ძმასა.
ცისკრის სხივებით ვმოსავ
იმის ბურტულა რქასა.

ჩვენ არვის ვუშლით არას,
არავისი გვაქვს ვალი!
სამო ვენახსა ვბარავთ,
სინხარულით ვართ მთვრალი!..

და ვუხდით გულის სარქველს,
ვისაც კი კაცი ჰქვია!
ყველას ჩვენთან ვარქმევთ —
ბედუგზოსა და გზიანს!..

და ვუხდით ძმობის ღალას,
სიყვარულით ვართ მთვრალი.
ვინც ნამუსს შეგვიბღალავს,
ვაი, იმისი ბრალი!
ვისაც შევამჩნევ ღალატს,
ვაი, იმისი ბრალი!



ჩემი სახლი

ძლივს, ძლივს მელირსა სახლი! —
სინხარულს უნდა ვმკიდე,
მაგრამ თავს კედელს ვახლი,
რემონტის გადამკიდე!

მეძელეხის იზღარა

რამდენი მთები ვლაზე,
რამდენი თოვლი ვქელე, —
მენახა ცხედრის სახე
და დავსწრებოდი ქელეხს!..

მეხილა ღიღი მრევლი,
პურზე მეწვეთა ღვინო!..
თვალზე მადგება ცრემლი,
გულში კი ჩუმად ვლხინობ!..

როს ქვაბებს ორთქლი ასდის,
გავცქერით თვალით მრუდით!..
ხაშლამა მოაქვთ ჩადგმით,
ფლავს არიგებენ ბლუდით!..



ჭიქას ჭიქაზე რომ ვცლით,
ანდერძს ვასრულებთ ცხედრის,
და ვლხინობთ ეგრე მოცლით,
არავინ არა გვყვედრის!..

ვითარც ქორწილში ვთვრებით,
სულს უჭირს, ხორცი ჰყვავის!..
ღმერთო, გვიმრავლე მკვდრები,
მაგრამ ასაკის ყვავის!..

ღმერთო, მოგვხედე ბოლოს,
წერე კანონი მკაცრი! —
კუბოში იწვეს მხოლოდ
ასზე უხნესი კაცი!

ჭალარა კაცი

ჭალარა კაცი ავტოში აღის,
სკამებს შეხედავს და იქვე დგება.
ქალიშვილები უთმობენ ადგილს,
მაღლობას უხდის და გული სწყედება!

ილუსტრაციები
ჯ. ლოლუანი

საქართველოში მუსიკის განვითარება

ი უ მ ო რ ა ს კ ა

წუხელ, ღამით, დაბა სათოხლოში უცნობი პირები თავს დაესხნენ ამავე დაბაში მცხოვრები მინო კბილკრეკაშვილის ოჯახს. ისინი შეიარაღებული იყვნენ სპორტსასმელი იარაღებით — ასგრაშიანი პიქებით, ჯამებით, უანწებით, ტინტილებით, მანქანის საბარგულში რომ ჰქონდათ გადაშალული.. ახალგაზრდებმა მასპინძლებს სიცილ-ხარხარში დააკვლევინეს ხუთი ქათამი, ერთი ინდაური, გოჭი, ცხვარი.. შოახდევინეს უზარმაზარი ქვევრი (რომელშიც ახალი ღვინო ხეირიანად არც კი იყო დადებული და ნაპერწკლებივით ისროდა შებფებს), ქილუბიდან ამოაღებინეს წიწაკის, ნივრის, კიტრისა და პამიდვრის წნილი, მოახარშვინეს ქათამები, ინდაური, გააკეთებინეს ხაშლამა, შეაწვევინეს გოჭი, მოამზადებინეს ცხვრის ჩაქაფული, ოჯახის დედას გამოაცხობინეს დედას პურები, დაატრევინეს შუშა კიტრისა და პამიდორის სალათა.. ყველაფერი ეს, საწებელითურთ, გაატანინეს მრგვალ მაგიდაზე.. ამ სიძვირის დროს მუსიკი გაავლეს ზემოაღნიშნულ ხორაგს და მატერიალური ზარალი მიაყენეს ოჯახს.. ბოროტმოქმედებმა ესეც არ იკმარეს: წამოიწყეს შესანიშნავი ქართული ხალხური და საესტრადო სიმღერები, არაჩვეულებრივად დაუკრეს პიანინოზე, ჩონგურსა და ფანდურზე. ბოლოს ისე გათავებდნენ, რომ

ბასი ამჟამად აღძრულია მადა და სათოხლოში „ზავოდობაზე“ სათოხლოდ ჩავლენ გამოცდილი იურისტები! ჩვენ ამ ამბისთვის აქ გვინდოდა წერტილი დავგვევა, მაგრამ საკითხავია ერთი რამ: რატომ არავინ ხმა არ ამოიღო დამნაშავეთა წინააღმდეგ?! სად იყვნენ მინო კბილკრეკაშვილის მეზობლები, ახლობლები?! მათ ხომ კარგად ესმოდათ ტკბილი მელოდები, მუსიკის მანგები, ლექსები, სადღეგრძელოები და გონებამახვილური ონუნჯობანი?! სამწუხაროდ, მოხდა პირიქით — ბოროტმოქმედთა ჯგუფს ქეიფსა და ღზინაში ხელი შეუწყვეს მინოს ძმამ, მიტო კბილკრეკაშვილმა, დედაშვილმა, გოგია ჩოყლაყაძემ, კარის მეზობლებმა — არსენა არაყიშვილმა და მისმა დისწულმა ილო ღვინიაშვილმა (მეტსახელად — „ტ ა ტ რ ა ყ უ ნ ა მ“).

თვითონ მინომ, „შალახოს“ ცეკვის დროს, ფეხი წამოჰკრა და გატეხა ღვინით სავსე ოცლიტრიანი შტოფი, დაღვარა ერთი ქვაბი ხაშლამის წვენი, საკუთარ შვილს ესროლა და ბეჭებში მოახვედრა ორი ცალი მწიფე პამიდორი და შეაგინა ცოლსი..


მინოს ქალიშვილმა, შესანიშნავი გარეგნობის, ტანწერწეტა ლიამ ახალგაცნობილ ახალგაზრდა ვაჟთან უტიფრად შეასრულა ცეკვა „ქართული“.

გარეწრებმა აცეკვეს ოთხმოცი წლის ელო ბაბო, ამღერეს ყროყინანთ ბიჭი გიგა („კლიჩა“ — „ახმახი“). დოღზე დააკრევინეს პედინსტიტუტის სტუდენტს ირაკლი მესტვირიშვილს, რომელსაც სტუდობილეთი ახლახან ჰქონდა აღებული (ასე ჩაითრიეს თავიანთ შავზნელ საქმეში სრულიად ახალგაზრდა, უდანაშაულო, კარგი მომავლის მქონე ყმაწვილი, რომელსაც ჯერ კიდევ არ შემორობია პირზე ღვინო!..).

სტუმრებმა გაწყობილ სუფრასთან შაირებიც კი ათქმევინეს ისედაც შარზე მყოფ მეზობლის ბიჭს ლექსო ჭიტლაყიშვილს, და სიცილით დახოცეს თანამესუფრენი..

აი, ხანამდე მივყავართ გულგრილობასა და დაუდევრობას, როცა დანაშაულს ყველანი ვუყურებთ და პირში წყალი, ან ღვინო გვაქვს ჩაგუბებული!

დროა, გონს მოვეგოთ! ეს შემთხვევა ჭკუის სახწყავლებელი უნდა იყოს ყველასათვის, ვისაც სურს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა!



გიტარაც კი მოითხოვეს! ეს მაშინ, როდესაც მინოს ბიძაშვილს ლაგოდებში სიდედრის დის წლისთავი გადაუხდელი ჰქონდა და ოჯახი მგლოვიარედ იყო..

ერთ-ერთმა აღვირაბსნილმა მოქიფემ, კრიმინალური სიმღერებს რომ ასრულებდა, საიდანაც დაშკრეღლებიც მოიყვანა და დილაზედ ისმოდა „მირდი, შეუბერე!“

დაუპატიუებელმა სტუმრებმა, კარგად რომ შეზარხოშდნენ, მუქარით — „თუ არ დაღვე, კისერში ჩავასხამთ!“ — კბილების კრაჭუნით ხუთჭიქიანი უანწი დააცლევინეს ორჯერ ნაინფარქტალ მინოს, ერთი საათის წინ რიბოქსინის ტაბლეთი რომ ჰქონდა გადაყლაპული.. მინომ ღვინოს ქათმის ხორცი შეაყოლა, ბარკალი ყელში გაიხსირა და კინაღამ შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.. მას ჩაეკაწრა რქაწითლით ჩაკოკლოწინებული ყელი, და სიდედრს რომ არ ეყოჩაღა, შეიძლებოდა, ტრაგედია დატრიალებულიყო.. ასე შეეწირა შესანიშნავი ჭაუკაცის, მოწინავე ტრაქტორისტისა და მევნახის, ოჯახის უბადლო შამის ჯანმრთელობა გარეწრების აღვირაბსნილო-

ვანო ცინცაძე



საქართველოს
განათლების
მინისტროს
ბიბლიოთეკა



მედიკალინის დოქტორი ანატოლი ანატოლივიჩი

«ნაწილს» სულოლიჩი მედიკოსი

გეტყვი, სათქმელი რაც არის, — ძმისწულო დიდი
კორნელის, —
შენ ხარ ბრწყინვალე ვარსკვლავის მამიებელიც,
მპოგნელიც!..
აღდგომა დღეს ხარ შობილი ღვთივეკურთხეული,
მართალი,
გულქართლი, კეთილშობილი, მაღალი, უხვი, მდაბალი,
მამა ხარ ოთხი შვილისა და შვიდს შეჭხარი
შვილიშვილს,
ნათელი ხარ და ტკბილი ხარ, თბილი ხარ, როგორც
თბილისი!
ზუსტად დაგარქვეს სახელი — კაცობის მასწავლებელი,
ხარ ბევრის მომსწრე, მნახველი, შენც შავი გაღვა დღე
ბეკრი!
ნიჭით და ჰკუა-გონებით ბევრს წინ უსწრებ და
უსწრებდი!
არ გე ქ ა მ ე ლ ე ო ნ ე ბ ი და არ გ ე ი ა ნ უ ს ე ბ ი..
შენს ისტორიულ რომანებს და შენს საბავშვო
მოთხრობებს
მილიონიან ტირაჟით, დაბეჭდვენ, ჰკუა რომ ჰქონდეთ!
ოცდათვრამეტი წელია, უნათებ შუქურვარსკვლავად
უურნალს — „სკოლა და ცხოვრება“! არ გადასულხარ
არსადა!
იაკობ გოგებაშვილის გაქვს ერთადერთი მედალი,
არ გინატრია სხვა ჯილდო, ან რად გინდოდა, ნეტავი?!
მაღე ჩვენს ჭვარცმულ ჰვეყანას დატოვებს
შავი ღრუბლები..
შენისთანები რომ გვეყვანან, მჭერა, არ დავიღუბებით!
ლხინში ლხინობ და გულწრფელობ, ტკბილქართულ
ენას აკვესებ
(ცოტა მეწყინა, უჩემოდ რომ გიმღერიათ ბანკეტზე!).
(გადმომცმა მოპატიუება დ ი დ ა დ ნ ა ნ მ ა ჯოდორმა,
მაგრამ ვერ მოველ, ვიწეკი, ვიყავი გომორ-სოდომად!..)
სიკეთედ მიმოიფრქვევო, ღიმილად მიმოსხივდები,
ისე, ვით შენი სწორფერი, სულმნათი სიმონ სხირტლაძე!
უკვე მ ი რ ვ ე ქ ა რ (არ გჭერა?) ვკითხულობ გაზეთ
„კ ა ბ ა დ ო ნ ს“!
დე, შენისთანა, ქართველმა დედამ მრავალი დაბადოს!
P. S.
ზემონათქვაში თუ ვინმეს გადაჭარბება ჰგონია,
ჩემს ერთგულ მემატთანეს, ჰკითხოს, ციციშვილ სონიას!
„ნაწილს“ დავალებით —
ზაურ ბოლქვაძე

„...დავიბადე ქვემო იმერეთის სოფელ ტობანი-
რში, ისტორიულ საჩინოში. მაქვს ფილოლოგიური განა-
თლება. ცხრა წელიწადი ქართული ენისა და ლიტერა-
ტურის მასწავლებლად ვმუშაობდი კავთისხევის საშუა-
ლო სკოლაში. 1945 წლიდან გაზეთ „სახალხო განათლე-
ბაში“, შემდეგ საქართველოს სახალხო განათლების მუ-
ზეუმში ვიმსახურე. 1953 წლიდან უურნალ „სკოლა და
ცხოვრების“ რედაქციაში ვმუშაობ. ერთი სიტყვით, 38
წელი ფეხმოუცვლელად ამ რედაქციაში ვარ“.

„...**38 წელი** ლიტერატურული და პედაგოგი-
ური ხასიათის წერილებს. გამოქვეყნებული მაქვს რამ-
დენიმე მონოგრაფია, რომლებიც სახალხო განათლების
ისტორიას და ამ დარგში მომუშავე მოღვაწეებს ეხება.“

50-იან წლებში „საბლიტგამმა“ გამოსცა ჩემი საბავშვო
მოთხრობების ორი კრებული. 1962 წელს „ნაკადულმა“
— ისტორიული რომანი „ბრწყინვალე ვარსკვლავის მა-
ძიებელი“, 1970-იან წლებში — „ჭვარცმული ჰვეყანა“,
ამჟამად ერთ გამომცემლობაში მიტანილი მაქვს ისტორი-
ული რომანი „შავი ღრუბლები“. ენახოთ, დაიბეჭდება
თუ არა, საერთოდ, ჩემთვის დაბეჭდვის საკითხი ძალიან
ძნელად გადასალახავი კედელია“.

„...**შაღრმისად** ვაფასებ თავმდაბლობას. რაც უნ-
და „მაღალი“ იყოს კაცი, მით უფრო „მდაბალი“ უნდა
იყოს, ისე, როგორც როსტევეანი“.

„...**უნდა** გვახსოვდეს არჩილ მეფის სიტყვები:
„ასე სჭირთ საქართველოში დიდებულთ, გინა მცირეთა
— აზვადებიან, იტყვიან — უჩვენოთ ვით იმღერეთა?“
უნდა მოვიშოროთ „უჩემოთ ვინ იმღერეთობის“ საშინე-
ლი სენი!“

მიხეილ კეკელიძე
(გაზეთი „კაბადონი-8“, 21. 1991 წ.)

ჩემი მშვიდი??

მე ერთი მშრომელი კაცი ვახლავართ და ძალიან მიყვარს მალსტუხითა და პორტფელით სიარული. რა არის ამაში ცუდი? — საბაზრედ მასზე უკეთეს ჭურჭელს ვერც ინატრებს კაცი ერთმა მკითხა: „ეგ შენი შობიო?“ მე ვუპასუხე: „შობი“ კი არა, პორტფელია-მეთქი და ამაზე კინალამ ჩხუბი მოგვივიდა.. ჩემი გასაჭირი პირველად მაშინ დაიწყო, როცა ახ-

ლობის საფლავის ქვისთვის სსსფლასთან არსებულ ხელოსანთა ამქარს შეივკითხე: „შობრძანდით, გოგი ბატონო!“ — ისეთი მოწიწებითა და აღფრთოვანებით მიმიღეს, რომ ჭერ გამიკვირდა, მერე გამიხარდა, ბოლოს დამაეჭვა, მაგრამ... ქვითარში აღნიშნული თანხა სალაროში უმალ გადავიხადე და ერთი კვირის თავზე საფლავზე უკვე იდგა ხელოვნებით ნაკეთი ნა-


ნატრი ქვა. მადლობის მეტი რა მეთქმოდა?! ეჭვმაც კი დააპირა გაფანტვა, რომ გამომშვიდობებისას, — ბატონი მინისტრი როგორ ბრძანდებო? — შემეკითხა ერთი. — მინისტრი არ ვიცი, მაგრამ ჩემი საამქროს უფროსი კი აწიური გრიპის ვირუსს ძლივს გადაურჩამეთქი!

— როგორ, შენ მინისტრის მოადგილე არა ხარო?! — დამიბრიალა თვალეზი აქამდე ტბილად მოსაუბრე ხელოსანმა. — არამეთქი! — მივუგე დაბნეულმა.


— ხუთჯერ მეტი თანხა უნდა გადაგვებდევინებინა და ნახე?!.. სულ ამის პორტფელმა შეგვაცდინა! — მომესმა ერთმანეთში არეული გაბრაზებული ხმები.

ერთმა ისიც დაიძახა: „შეშინდი, ვცემოთო!“ შეშინებული ისე გამოვიქეცი, რომ სპრინტში გამსოფელი ჩემპიონიც კი ვერ დამეწეოდა.. ახლახან იმ ხელოსნებმა შემომითვალეს: ან ჩვენი წილი ფული გამოგვიგზავნენ, ან ეგ პორტფელი სამუდამოდ გადაგდესო!


გივი ჯედელაუზვილი



- ოცი მანეთი უნდა!
 - მაშინ უკან წამიყვანე!
- ნახ. ბ. ლომიძისა



გივი პეტრიანუშვილი



— მე, პატივცემულო, ბავშვობიდან ასეთი ცხვირი მაქვს და თქვენ მოვრალი გგონივართ?!



— დავანებოთ თავი ამ ქარის წისქვილებს, დიდო რაინდო!

— რას ამბობ, ხანჩო?! იმპერია კი დაინგრა, მაგრამ ბოროტებაზე ჭერ არ გაგვიმარჯვნია!



— „ლუქი“ არა მაქვს, აგერ „ასტრა“ ინებეთ, მისი შემცველელია!



— ტელეატელიეში ვერაფერი მოუხერხეს და ახლა ექსტრასენსთან მიმაქვს, იქნებ რაღე უშეულოს.



— მაგ ხეს რომ უკაკუნებ, ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერე?!



ი ლ მ რ ა მ ს ა ა

ჩხუჭი ეზო თბილისის ძველ, მივიწყებულ უბანში მდებარეობს. აქ არც რესტავრაციაზე უფიქრია არავის და ამიტომ ჯერ კიდევ უძრავობის პერიოდის დალი აზის: აივნები ჯებირებითაა გამაგრებული, ჭიშკარი მავთულე-ბითაა მიმაგრებული ძირმომპალ ბოძებზე და დახვეულ კიბეებს სულ ჭრატყავა გაუღიოთ... მით უმეტეს, როცა მას ქალბატონი ნუცა აუყვება. ნუცა 15 წელია, რაც ქალაქელი გახდა. მახსოვს, როცა ობუჯიდან ჩამოვიდა, ერთი გამხდარი ქალი იყო, დაბნეული და დამნაშავე-ლიმილიანი. ახლა ჩვენი ეზოს მე-3 სართული მთლიანად მას და მის მეუღლეს, ბიკენტის ეკუთვნით, სულ ვიდეოებით, იტალიური ჭაღებითა და „ვიტრინკებით“ აქვთ მორთული! ცოლ-ქმრისა და მათი ერთადერთი ქალიშვილის ოცნება იყო, კარადები და სერვანტი ლომის ფეხებზე შეეყენებინათ და, რადგან ამგვარი ავეჯი ვერსად იშოვებს, კერძო ხელოსანს შეუკვეთეს. ერთ კვირაში ახალი საწოლებიც, კარადებიც, მაგიდებიც და მასპინძლებიც „ლომებად“ იქცნენ! წარსულს ჩაბარდა ნუცას დაბნეული და დამნაშავე ლიმილი. ნერონისა და მაკიაველის გამომეტყველებით მიდიოდა ცოლ-ქმარი ქუჩაში და ვეღარ ამჩნევდა იმ ხალხს, რომელთა ავეჯის ფეხები არაფრით არ გამოირჩეოდნენ, თხის ჩლიქებსაც კი არ ჰგავდნენ, აბა, ლომის ფეხებს მათ ვინ მიაშავებდა, რადგან უძრავობის პერიოდის დაწყებული დღემდე, უმრავლესობა 120-მანეთიან სამსახურში დადიოდა და თავს სწირავდა პატიოსნებას! ამ ხალხს ერთი უპირატესობა ჰქონდა: სიგამხდარის გამო, ისინი სკუბ-სკუბით აუყვებოდნენ ხოლმე ძველებური რკინის დახვეულ კიბეებს, და, მათ სახეებზე, როგორც სარკეში, ისე გამოსჭვიოდა სიხარულისა და უბედურების, აღტაცებისა თუ წყენის, სიკეთისა თუ ფიქრის კვალი!.. მთელი ეზო გაცივებით შესცქეროდა ბიკენტისა და ნუცას მეგობრობას მეორე სართულზე მცხოვრებ თათია წამალაძესთან. თათია ერთი უხმაურო და უწყინარი ქალია, ჩვენი უბნის ბიბლიოთეკაში მუშაობს, არავის უნახავს გაბრაზებული და დაბოღმილი, ამიტომ ყველას გვიკვირდა, როცა ნასადილეგს, დახუთული აგვისტოს ჩვატში შემოგვესმა თათიას აღშფოთებული შეძახილი:

— ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს?! როდემდე უნდა ვითმინო ეს საზიზღრობა?! ათასჯერ გაგაფრთხილეთ, როცა ფანჯარა ღიად მაქვს, ნუ მამბერტყავთ-მეთქი თავზე ცოცხს!

როგორც მისი მონოლოგიდან გავარკვეთ, თურმე ქალბატონი ნუცა, თათიას ზევით რომ ცხოვრობს, ხშირად აბერტყავს მას თავზე თავის სპარსულ ხალიჩებს, სუფრებს, პალტოებს, იატაკის ჩვრებს, და ასე, გასაწყვეტ, მზესუმზირის ჩენოსაც კი აყრის ხოლმე!..

მთელი მეზობლობა აივნებზე გამოეფინა. ჩხუბი გრძელდებოდა, ჩვენ, მეზობლები, ნეიტრალიტეტს ვიცავდით. ეს კიდევ უფრო ახლებდა მათ.

— არა, მაინც რისთვის გადმობარგდით ობუჯიდან?! იქ ვერ დაეტეოდით?! ოპერა თქვენ არ გესმით და თეატრი! ტელევიზორი, აბა, სოფელშიც კი არის! ქალაქში ბენზინის სუნი და ბული გირჩევენოდათ?! სოფლის სუფთა ჰაერი არ ჯობდა?! გადმოდგებოდით საკუთარი სახლის აივნიდან და რამდენიც მოგინდებოდათ, იმდენს დაბერტყავდით თქვენს ჭრელა-ჭრულა ხალიჩებს!..

ნუცამ ეს ვეღარ აიტანა და სასოწარკვეთილი ხმით შეესძახა:

— არ შემეძამა ამ ქალმა?! მაგის შიშით ალუბლის კურკაც კი ვერ გადმომიგდია ეზოში!.. ჰმ! ოპერაშიო! ოპერაში შენნაირი გიყები დადიან! მაგაზე დროს დავკარგავ?! დღას ორი კაცი სცენაზე კარებში და ერთი საათი გაპყვირინ: „პრაშჩაი, პრაშჩაი!“ — ვერა და ვერ შორდებიან ერთმანეთს. ეს მაშინ, როცა კარებში ამდენ ხანს დგომა და გაუთავებელი ლაპარაკი, ყველამ იცის, უზრდელობაა! ბალეტიც გიყებისა: — გამოვარდება სცენაზე კაბააწეული, ნახევრადშიშველი ქალი და ცეკვა-ცეკვით ახტება თავზე კაცს, ჭინჭის კუკლასავით რომ ატრიალებს მას და შემდეგ ზიზღით მოისერის ძირს! დაგდებული ქალი ფეხებს ისე აქანავებს, როგორც კიბორჩხალა, უზრდელად იზმორება და გიყვივით ატრიალებს თვალებს!.. ამას ვაყურებდნენ ჩემს ქალიშვილს?! ოპერაში შენნაირი ცალტვინები დადიან! უყურე ერთი ამას?! არ დაბერტყო! აბა, ხალაში თავზე დავიფერტხო?! გაგონილა?!

ამის თქმა და, შხაპუნა წვიმა წამოვიდა. ყველანი ოთახებში შევეცივდით და ფანჯრები მივხურეთ, ასე დასრულდა თათიასა და ნუცას ჩხუბი.

ლია სვანიძე

ილუსტრაცია ავტორისა



— ჩემი ნახატი გავიტანე აუქციონზე და კინაღამ დახოცეს ერთმანეთი!.. ბოლოს ათას მანეთად გავყიდე!..

— რა დახატე, კაცო, ახეთი?

— ძეხვი!

ნ. ბ. ლომიძისა

იუმორისა

— ჭერ კიდევ არ მობრძანებულა შენი ვაჟბატონი სახლში — კარებშივე მიახალა თინამ სამსახურიდან მოსულ ქმარს.

გაბომ გაზეთში ვახვეული შეკვრა მაგიდაზე დააგდო და სავარძელში ჩაჭდა.

— ეგ რა მოიტანე?

— ჭინისი შარვალი ვუყიდე კოკას — უბახუბა გაბომ და ზუთ მანეთად ნაყიდი სამოცდაათკაციანი „კოსმოსი“ ამოიღო ჭინიდან.

— ღირსია შერე? — ცოტა შეარბილა მკაცრი ტონი თინამ, — რომელი „რაჭმერია“?

— ორმოცდარვა ზომაა

— ორმოცდარვა რა ამბავია? ორმოცდართხს იცვამს ბავშვი

— რა ვიცის, აბა..

— ეს იმის ბრალია, ახლოს რომ არა ხარ შევლთან, დილით უთენია გარბინარ და შუალამზე შემოღინარ სახლში

— რა ვქნა, არ ვიშუშაო? მშენებლობის მუშაკებისათვის დრო და საათი არ არსებობს

— შევილსათვის მაინც უნდა გამოხარო დრო, უნდა დაეღაპარაკო, გაესაუბრო, კეჟა დაარქვოს, შე ვეღარ ვერევი!

— სად არის?

— ჭერ არ მოსულა სკოლიდან!

— შეორე ცვლა?

— მამა ხარ და ეგეც არ იცი.. პირველი სმენაა!

— შერე აქამდე რა უნდა სკოლაში?

— რომ მოვა, შენ თვითონ პკითხე!

— სკოლა შორს არის?

— აქვეა, ორას მეტრში

— შერე, რომ დივიანა, ვერ გადადი?

— სად მქონდა მაგის დრო?!

ჭერ ბაზარში ვიყავი, შერე სადღილი ვაყავით, ახლა აგერ სარეცხი დავიწყე!

— ყოველდღე სარეცხი არ გაბიგია შე!

— აბა, ყოველ დილით დაწკრილებულ პერანგებს რომ იცვამთ შენ და შენი შვილი, იმათ გარეცხვა არ უნდა?

— უცებ კარების ჭახუნის ხმა გაინსმა და ოთახში გაოფლიანებული და ხკინძმომოდელიტი კოკა შემოვარდა.

— ხალა ხარ, ბიჭო, ამდენ ხანს?!

— სად ვიქნებოდი, ტო?!

— გაიკვირვა კოკამ.

— ტო რა სიტყვაა, ბიჭო?!

— აუწია ხმას გაბომ.

— პირველად გესმის ტო?!

— ხაწყულად სთქვა კოკამ.

— ტო ს მოგცემ მე შენი სალა ხარ აქამდე?!

— იყო ვარიანტი! — ჩაიღუღუნა კოკამ.

— რა ვარიანტი, სვამდით?!

— მკაცრად იკითხა გაბომ.

— შენ სულ ხმა უნდა გახსოვდეს?!

— მომხდარა რაღაც! — გამოცხარდა შვილს დედა.

— დედაშ ტოჩნათ გაშიფრა!

— რაო, რა თქვა?!

— დედა ზუსტად მიხვდაო! — თარგმნა შვილის ნათქვამი თინამ.

— არ იტყვი, ბიჭო, რა მოხდა?!

— ჩემბა მამამისი.

— ჩვენს კლასში ვილაცამ შურნალი მოხია..

— მოხია თუ დახია? — ვერ გაიგო შვილის ნათქვამი გაბომ.

— მოხია, ესე იგი, მოლუბარავთ!

— განუმარტა ქმარს თინამ.

— შერე, შერე? — დაინტერესდა გაბომ.

— შერე, კაროჩე, ამაზე მთელი ბაზარი ატყდა!

— სად ბაზარი და სად სკოლა?!

— დაქაჩა თვალები გაბომ.

— მოკლედ, ამაზე მთელი ამბავი ამტყდარა! — განუმარტა ისევ თინამ.

— ჭერ დამრიგებელმა დაგვიწყო უპიტი, შერე ეგრევე დირექტორიც მოტახავდა, გაიგე?!

— ვერ გავიგე ვერაფერი! — ხელეები გაშალა გაბომ.

— რა გავება უნდა ამას?!

— ჩაერია ისევ თინა, — ჭერ დამრიგებელი გვეჩხუბა და შერე დირექტორიც მოვიდაო.

— რა ენაზე ლაპარაკობს, ეს შეჩვენებული?!

— ჩაილაპარაკა გაბომ.

— შერე, შვილო, შერე? — დაინტერესდა თინაც.

— დირექტორმა ეს პონტი რომ გაოგო, ავარდა..

— სად ავარდა?!

— ავარდა, ესე იგი, გაბრაზდა!

— უთარგმნა უარგონი თინამ ქმარს.

— შერე დირექტორი ნაგლად მოგვაწვა და შეგვაჭდა..

— ამხელა კაცი შეგაჭდათ?!

— შეგვაჭდა, ესე იგი, მაგრა მოგვადგაო! — გაუშიფრა თინამ.

— გაახურა და გაახურა, შუსტრად იკისრეთ, რომელმა ახვარმა შეგვაწერეთ უურნალიო!

გაბომ ვახელა თინას და იმანაც არ დააყვინა თარგმანი:

— დირექტორს მთელი ამბავი დაუწვია, თქვით, რომელმა თავხედმა მოიპარეთ უურნალიო შერე, შვილო, გაუსწორეთ დირექტორს?

— რა გაუსწორებს, ადამიანო?!

— გაოცებით შეხედა გაბომ თინას.

— ვკითხე, თუ უთხარით დირექტორს-მეთქი

— გაუსწორეთ?!

— პკითხა გაბომაც შვილს.

— მე რა უნდა გამესწორებინა?!

გაგებაში არ ვიყავი.. შურნალი დიდი ტაიმათის დროს მოხიეს. მე იმ დროს ბულეტში ვიყავი ზაპარავაზე.

— არ გინდა თარგმნა, უკვე გავიგე! — შეაჩერა გაბომ ხათარგმნელად გამზადებული მუღლდე,

— კი მაგრამ, ამდენ ხანს რატომ არ გამოგიშვებს?

— რომ არ ვიკისრეთ, დირექტორს გაუტყდა, გაიგე?!

შერე ვაშენი დაიჭირა და მოგვაწვა, სანამ იმ ნავლს არ ჩაუშვებთ, აქედან ვერ მოშებითო და საღამომდე შეგვახუტუქა!

— რაო, რა თქვა?!

— ვახელა გაბომ ცოლს.

— ეგ უკვე ვერც მე გავიგე!

— დაორცხვინა თინამ.

— თინა! — აუწია ხმას გაბომ,

— ამ ვაჟბატონის წიგნები და ტანსაცმელი ჩემოდანში ჩაალაგე შუსტრად!

— შენ გამავიუებ, გაბომ რას უპირებ ბავშვს?!

— თბილისიდან უნდა მოვხიო ეგრევე!

— შერე სად მიგყავს?!

— სოფელში, დედაჩემთან და მამაჩემთან!

— წინაპრებთან რა მინდა, ზაფხულია?!

— სოფელში რა უნდა ბავშვს?!

— მხარი დაუჭირა დედაშ შვილს.

— რა და, ხომ ხედავ, გადავარების გზაზეა სხვა თუ არაფერი, ნორმალურ ქართულს მაინც ისწავლის იქ!

— ახლა ეს კამპოტი მინდა მე?!

— გაბრაზდა კოკა.

— მორჩი ბაზარს, შენ რაც გინდა, ის მე ვიცი! — იყვირა გაბომ.

— დედი, მე მოვტუდი! — თქვა კოკამ და გაიქცა.

ამაზე გაბომს მართლა „მაგრა გაუტყდა“ და „გაუხურა“ თინას, ეს რა „მასტი“ გაიჭრდიაო! თინამ „იყიდა“, რომ გაბომს ვერ შეახუტუქებდა“ და იძულებული გახდა, ამოეკეტა“!

ნოდარ ხუნწარცა





საქართველოს მშენებელი

ქართული
ბიბლიოთეკა

მსუქანი, სანდომიანი ქალი ტაქსის მძღოლს მანქანაში ჩაუჯდა.

მძღოლს ძალიან მოეწონა ქალი და ქათინაურით უთხრა:

— ყურადღებიანი ქმრის ხელი გეტყობათ, ქალბატონო!..

— რაი, გგონიათ, მსუქანი ვარ?! — მწარედ გაეღიმა ქალს. — მართლაც მსუქანი გგონივართ?! —

— ეჭვი გეპარებათ?! —

— არა, ბატონო, ჩემო, მე ბოლმისგან ვარ გასივებულნი!

— რას ამბობთ, ქალბატონო?! — გაიკვირვა მძღოლმა.

— აბა, არ გინდა უყურო ქმარს, რომელიც დღეში სამჯერ დათვრება და გამოფხიზლდება?! —

— საწყალი ჩემი ცოლი, რა მოთმინება ჰქონია! — თქვა მძღოლმა და სიჩქარეს მოუმატა.

* * *

ზარმაცი მიხოს მთელი ავლადიდება პატარა ხუხულა და პაპისდროინდელი კაკლის ხე იყო!..

იმ დასიცხულ დღესაც მიხო ჩვეულებრივ კაკლისხის ქვეშ მხართეძოზე წამოწოლილიყო და ხვრინავდა. ამ დროს მას რაიონის პასუხისმგებელი მუშაკი და ამერიკელ ტურისტთა ჯგუფი წაადგა თავს.

— მიხო!

- ჰაი!..
- შენთან სტუმრები არიან ამერიკიდან!..
- რაო?! —
- ადე, მიხო, ამერიკელ მანდილოსანს ძალიან მოეწონა და ერთ ცალ კაკალში ას დოლარს იძლევა!
- არა! — მიახალა მიხომ და მეორე მხარეს გადაბრუნდა.
- მილიონ დოლარს იძლევა, მიხო! იცი, მილიონი დოლარი რას ნიშნავს?! მთელი შენი ცხოვრების მანძილზე ყველაფერი ფეხებზე გეკიდება, მიხო?! —
- რაო, ახლაც ყველაფერი ფეხებზე არ მკიდია?! —
- თქვა მიხომ და ხვრინვა ამოუშვა.

გრიგოლ გვაძაბია



ჩვენ რომ ახლ
ოკოგიჩია გყავდეს,
ხომ მოგვანებოდა
ყანადან?!



ნახ. მ. აბაშიძისა



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4. (1854) უბანი
გამომცემი 1923 წლის ივლისი-სილიანი.

ნახ. 8. აბაშიძისა

კომუნისტული ცუალები

ქუჩის მოზოიციას
არ
ვემსახურებთ!



მთავარი რედაქტორი
გ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

გვამომცემი აბაშიძე
(მასუხისმგებელი მდივანი),
კანცლ. აბაშიძე, ნიკოლო
პატიანი, ბეგუნი აბაშიძე,
გვამომცემი (მხატვარ-
რედაქტორი) ნიკოლო პატი-
ანი, ადვოკატი ნიკოლო
პატიანი, მთავარი რედაქტორის მო-
ადგილე, კანცლ. ჩხეიძე,
ანი, თამარ წაყვანიძე.

ტექნიკური რედაქტორი
ი. აბაშიძე

დაბეჭდა ასაწყობად
20. 01. 92 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 3. 04.
92 წ. ქალაქის ზომა
60x90¹/₂, ფიკური ნაბე-
ჭლი ფურცელი 3. საიდ-
რიცხო-საგამომცემლო თა-
ბახი 3,6. საქართველოს
ფერხალ-გაზეთების გამო-
მცემლობა „საშობლო“.
შეკვ. № 36. ტირ. 63 000.
ქუჩის მოზოიციას თვე-
ში ორჯერ. რედაქციაში
შემოსული მასალები ავ-
ტორებს არ უბრუნდებათ.

ბეგუნი ნიკოლო: 880000.
ნიკოლო პატიანი: რუსთაველის
პროსპექტი № 48.

ბეგუნი ნიკოლო: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, კ/მგ მდივანის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგებების —
92-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38,
მდივან-მე მანქანის —
99-76-69.

სატირიკო - იუმორისტი-
კული მურალი «ნი-
ანი» (მა გრუზინული
ენაში). თბილისი, კრ.
რუსთაველი № 42. ტი-
პოგრაფიკული მუშაობა
გრუზული გამომცემლობა
თბილისი «სამშობლო».
უ. მ. კოსტავა № 14.

ნახი 8 ნახ.

№ 18187